

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

ნაშრომში 19 ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის მაგალითზე მიმოხილულია
ამ დოკუმენტის შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის
ორგანიზების საკითხები

თბილისი

2013

ეს ნაშრომი მომზადდა „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ პროექტის „სტრატეგიისა და პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოს საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ორგანიაცია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებათა ამსახველად.

© მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2013



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა საქართველოში

წინასიტყვაობა

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს დამოუკიდებლობის პერიოდში ძირითადად უწევდა მიმდინარე ენერგეტიკული პრობლემებთან გამკლავება. გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინება ხერხდებოდა მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს და ისიც არა ყოველთვის. ამ პერიოდის განმავლობაში დაგროვდა განვითარების ბევრი სისტემური პრობლემა, რომელიც სექტორის შემდგომ წინსვლას ხელს უშლის და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის უსაფრთხოებას და დამოუკიდებელი დასავლური განვითარების პერსპექტივებს. იმისათვის, რომ მოხდეს არსებული პრობლემების მიზანმიმართული აღმოფხვრა და შემდგომი წინსვლა-განვითარება აუცილებელია რეალისტური და საფუძვლიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას დასახავს მიღწევად მიზნებს და საფუძველს შეუქმნის მათ განხორციელებას დაგეგმილი ღონისძიებების და შესაბამისი რესურსების მითითებით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ენერგეტიკული სტრატეგიების რაობის და მათი შემუშავების მსოფლიო გამოცდილების შესახებ, რათა მაგალითების ჩვენებით, ხელი შეუწყოს საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებას, მისი განხორციელების და კონტროლის მექანიზმების შექმნას.

დოკუმენტში ქვეყნების მისათითებლად გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურები:

1	სომხეთი	AM	11	სერბეთი	CS
2	ავსტრია	AT	12	თურქეთი	TR
3	აზერბაიჯანი	AZ	13	უკრაინა	UA
4	ბელორუსი	BY	14	დიდი ბრიტანეთი	UK
5	ხორვატია	HR	15	აშშ	US
6	გერმანია	DE	16	კანადა	CA
7	უნგრეთი	HU	17	ნორვეგია	NO
8	მაკედონია	MK	18.	ჩინეთი	CN
9	რუსეთი	RU	19.	ევროკავშირი	EU
10	დანია	DK			

ამ ქვეყნების ენერგეტიკული სტრატეგიები თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

შინაარსი

წინასიტყვაობა	1
ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება	4
რა მიმართებაა ენერგეტიკულ სტრატეგიასა და ენერგეტიკულ პოლიტიკას შორის?	4
რატომ უნდა შეიქმნას ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია?	5
როგორია ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნები?	6
რა დრო და რესურსები იხარჯება ენერგეტიკული სტრატეგიის შესაქმნელად?	7
ვინ იღებს, ვინ ამტკიცებს, და ვინ არის პასუხისმგებელი სტრატეგიის მიზნების განხორციელებაზე?	8
სტრატეგიის მოქმედების ვადები და დოკუმენტის გადახედვის პერიოდულობა	9
რა ანალიტიკური მეთოდები გამოიყენება სტრატეგიის შესამუშავებლად?	9
სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და კონტროლი	10
სტრატეგიის დოკუმენტის შინაარსი (ძირითადი საკითხები)	11
ზოგადი ხედვები პოლიტიკა, მიზნები, ამოცანები, ვალდებულებები	11
ელექტროენერგეტიკული სექტორი	13
წიაღისეული რესურსების მოპოვება/გადამუშავება - ნავთობი, გაზი და ქვანახშირი	15
ენერგოეფექტურობა	16
ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისება	19
ინოვაციებისა და კვლევა-დანერგვის ხელშეწყობა, კადრების განვითარება	20
საკანონმდებლო ბაზა და განხორციელების მექანიზმები	22
ენერგეტიკული ბაზრების განვითარება	24
გარემოს დაცვა	25
დანართი	27

ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება

საქართველოს კანონით ენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ¹ ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ევალუა ენერგეტიკის დარგში განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების, აგრეთვე მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია. აღნიშნული სამუშაო დღემდე არ განხორციელებულა და აქტიურად განიხილება როგორც სამინისტროს მიერ ასევე მის გარეთ;

დამოუკიდებელ საქართველოში ფაქტობრივად პირველად უნდა შეიქმნას სრულფასოვანი ენერგეტიკული სტრატეგია, რისი წინა გამოცდილებაც არ არსებობს. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩაგვეტარებინა ამ სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზი და საქართველოს პირობებისთვის საყურადღებო საკითხების გამოყოფა. გვანტერესებდა სტრატეგიების როგორც ფორმალური მხარე (დოკუმენტის მოცულობა, პერიოდულობა, შემუშავების, დამტკიცების და განხორციელების პასუხისმგებელი მხარეები, მონიტორინგი და სხვ.), ასევე მათი შინაარსი (მიზნები, სექტორები, ღონისძიებები, განხორციელების ინსტრუმენტები და ა.შ.).

ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ ნაწილი პასუხებისა ამ კითხვებზე, რაც ვიმედოვნებთ მაინც საკმარის წარმოდგენას ქმნის იმაზე, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნები თავიანთი ენერგეტიკული სტრატეგიების შემუშავებას.

რა მიმართებაა ენერგეტიკულ სტრატეგიასა და ენერგეტიკულ პოლიტიკას შორის?

ენერგეტიკული პოლიტიკა ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური სისტემის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რომელიც მოიცავს ქვეყნის ენერგეტიკის ხედვებს, ძირითად მიმართულებებს და გრძელვადიან პრიორიტეტებს, ასევე ენერგეტიკულ კანონმდებლობას, ხელშეკრულებებს, ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს და დამკვიდრებულ პრაქტიკას. ყველა ქვეყანა ატარებს რაიმე სახის ენერგეტიკულ პოლიტიკას რომელიც შეიძლება იყოს ეფექტური ან არაეფექტური, ცხადად ჩამოყალიბებული ცალკე პოლიტიკური დოკუმენტის სახით ან არა.

ერთის მხრივ, ენერგეტიკული პოლიტიკა ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების განმსაზღვრელი ჩარჩოა.

¹ კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, მუხლი 3

ენერგეტიკული სტრატეგია ენერგეტიკაში ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია, რომელიც არსებული რეალური გარემოებების და რესურსების გათვალისწინებით იქმნება. *ენერგეტიკული სტრატეგია დროში და რესურსებში გაწერილი მოქმედებების გეგმაა, ის კონკრეტული მიზნების შესრულებას ემსახურება და მისი შესრულების და კონტროლის მექანიზმები ცნობილია.* ეფექტური ენერგეტიკული სტრატეგია განსაზღვრავს ენერგეტიკის სხვადასხვა სფეროში ინვესტირების საჭიროებას, ინვესტიციების გეოგრაფიულ განაწილებას და დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვესექტორებში და რესურსებს შორის ინვესტიციების გადანაწილებას. კარგად დამუშავებული ენერგეტიკული სტრატეგია პოლიტიკოსებს და ფართო საზოგადოებას უნდა დაეხმაროს რათა სწორად დასვან შეკითხვა დასაშვები რისკების და განუზღვრელობის შესახებ, ასევე თუ რა მოცულობის ფინანსური, თუ სხვა რესურსები უნდა გაიღოს საზოგადოებამ ენერგეტიკული უსაფრთხოების დასაშვები დონის მისაღწევად. სტრატეგია რაც შეიძლება უფრო მკაფიო არჩევანის საშუალებას უნდა იძლეოდეს მიზანშეწონილი და ნაკლებ სასურველი ღონისძიებების განსასხვავებლად.

რატომ უნდა შეიქმნას ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია?

საქართველოს პირობებში სტრატეგიის შემუშავების პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე საბოლოო დოკუმენტი, ვინაიდან ის მოითხოვს სხვადასხვა უწყების და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების და პოლიტიკოსების მჭიდრო ურთიერთქმედებას, სტრატეგიული ხედვების, სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბებას. ჩამოყალიბებული პროფესიული და ინსტიტუციური უნარები შემდგომში ცვალებად რეალობაზე რეაგირების და სტრატეგიის ან ტაქტიკის კორექტირების საშუალებას გააჩენს.

ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების პროცესი გულისხმობს ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობის, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების, რისკების და შესაძლებლობების გააზრებას და ძირითადი კრიტიკული მიმართულებების გამოყოფას. ამის გარეშე სექტორში სახელმწიფოს პოლიტიკა არაეფექტური ხდება, რაც ქვეყნის სტრატეგიულ რისკებს ზრდის.

ამას გარდა, საფუძვლიანად გააზრებული და დამუშავებული სტრატეგიის დოკუმენტი ქმნის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, ხელისუფლების შტოების და სახელმწიფო პროგრამების მობილიზების საშუალებას რც დასახული მიზნების და პრიორიტეტების განხორციელების აუცილებელი პირობაა.

დასაბუთებული დოკუმენტი რომელშიც გაწერილია მოქმედებათა ეტაპები, რესურსები და შესრულების კრიტერიუმები, მისი შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას ქმნის, რათა საზოგადოებამ განასხვაოს სწორი და არასწორი ნაბიჯი და ყველა ქმედება წარმატებად არ მივიღოთ.

ხარისხიანი სტრატეგიული დოკუმენტი რომელსაც სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელი პირები აწერენ ხელს, ინვესტორებისთვის მთავრობის დარგისადმი სერიოზული დამოკიდებულების და სტაბილობის ნიშანი და მომავლის პროგნოზირების შესაძლებლობაა, რაც ინვესტიციების ხელშემწყობი აუცილებელი პირობებია.

როგორია ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნები?

ენერგეტიკული სექტორის გრძელვადიანი ზოგადი მიზნები უნივერსალურია და ყველა ქვეყნისთვის მოიცავს მომხმარებელთა ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფას გაწეული ხარჯის და გარემოზე ზემოქმედების მინიმუმაციის პირობებში, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამავე დროს ენერგეტიკული სტრატეგია იწერება უფრო კონკრეტული მიზნების მისაღწევად, მოცემულ მომენტში ქვეყნის და ენერგეტიკის მდგომარეობის და განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით.

არსებობს უფრო ვიწრო დარგობრივი, სექტორული სტრატეგიები ქვეყნის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად. მაგალითად თურქეთს აქვს ენერგეტიკის სამინისტროს განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს სამინისტროს მოქმედებას ენერგეტიკის სხვადასხვა ქვესექტორში და თავად სამინისტროს განვითარებას. ასევე არის ელექტროენერგეტიკის განვითარებისა და რეფორმირების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მთლიანად მთავრობის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს. ის თუ რა სტრატეგია იქნება, ერთიანი თუ დარგობრივი, არის დამოკიდებული ქვეყნის კონკრეტულ პირობებზე, ინსტიტუციურ, კვლევით რესურსებზე და ფინანსურ შესაძლებლობებზე. ხანდახან მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი სტრატეგიის შემუშავება. მაგალითად, 2006 წელს აზერბაიჯანმა აიღო თავის თავზე დამატებითი ვალდებულებები ენერგოეფექტურობაზე და განახლებადი ენერჯის განვითარებაზე ევროკავშირის წინაშე და დამატებით შეიმუშავა განახლებადი ენერჯის ათვისების სტრატეგია. მისი ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგია კი უცვლელი დარჩა.

ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები უნდა ჩამოყალიბდეს არსებული მდგომარეობის და პერსპექტივების სრულფასოვანი ანალიზის და ხედვების საფუძველზე, სპეციალისტების და პოლიტიკოსების მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.

რა დრო და რესურსები იხარჯება ენერგეტიკული სტრატეგიის შესაქმნელად?

ენერგეტიკის სექტორის უდიდესი ეკონომიკური და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგად-ენერგეტიკული, თუ უფრო ვიწრო სექტორული სტრატეგიების შემუშავებაზე მნიშვნელოვანი ფინანსური, თუ პროფესიული რესურსები გაიღება. სტრატეგიის შემუშავებას რამდენიმე წელიწადი ეთმობა, (AU,DE,BY - 1 წ; HU,RU- 1.5 წ; TK,UK,HR,SR-2 წ.) თუმცა, მასზე მუშაობა, მონაცემების და ხედვების განახლება მუდმივი პროცესია.

სტრატეგიებზე მუშაობენ ინსტიტუტები, ათობით და ასობით სპეციალისტი და ეს მოითხოვს ქვეყნის ანალიტიკური, დამგეგმავი ჯგუფების და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, ასევე რეგიონების და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობას.

ავსტრიის ენერგეტიკულ სტრატეგიაზე ერთი წლის განმავლობაში

180 ექსპერტი: ფედერალური ადმინისტრაციის, რეგიონებისა და ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერები და არასამთავრობო ორგანიზაციები 9 თემატურ ჯგუფად დაყოფილები მუშაობდნენ.

ხორვატიის ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებაზე ათეულობით ექსპერტი მუშაობდა ორი წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე შეიმუშავეს სტრატეგიის წინასწარი ვერსია - მწვანე წიგნი, რომელიც განსახილველად დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ პირს. შემდგომში კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავდა თეთრი წიგნი, რომელიც პარლამენტს გადაეგზავნა დასამტკიცებლად.

აზერბაიჯანის ენერჯის განახლებადი წყაროების სტრატეგიაზე ასამდე ექსპერტი მუშაობდა 6 თვის განმავლობაში. სტრატეგიის შექმნის პროცესის კოორდინაციას უწევდა ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის წყაროების სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც დახმარებას უწევდა კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შექმნილი მრჩეველთა საბჭო, კვლევის ძირითად ბაზას კი შვიდ სამუშაო ჯგუფად დაყოფილი 50-კაციანი ჯგუფი შეადგენდა.

სომხეთის ენერგეტიკული სტრატეგია შექმნილია ქვეყნის ეკონომიკური გავითარების კონტექსტის გათვალისწინებით, დოკუმენტი სომხეთის მთავრობამ 2005 წელს მიიღო და მასში მოცემულია დარგის განვითარების 15-20 წლიანი გეგმა. საჭირო მონაცემები ნაწილობრივ მიღებულია სომხეთში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებისაგან, რომლებიც სახელმწიფოს დაკვეთით ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გრანტებით არის განხორციელებული.

უნგრეთის ენერგეტიკულ სტრატეგიაზე 110 ექსპერტი, მათ შორის ეკონომიკური, აკადემიური, კომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მუშაობდნენ წელიწადნახევრის განმავლობაში.

ვინ იღებს, ვინ ამტკიცებს, და ვინ არის პასუხისმგებელი სტრატეგიის მიზნების განხორციელებაზე?

ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია ჩვეულებრივ ქვეყნის ხელისუფლების პირველი პირის პატრონაჟით იქმნება და მის მიერ არის ხელმოწერილი როგორც წესი, ეს არის მთავრობის სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროს მონაწილეობით, შემუშავებული ერთიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, ხორვატია) ან მთავრობა (ავსტრია, აშშ, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, მაკედონია).

სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის სამოქმედო გეგმას რომლის შექმნასა და განხორციელებაშიც მთავრობასთან ერთად შეიძლება მონაწილეობდეს მარეგულირებელი ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლება, სახელმწიფო ენერგოკომპანიები და სხვა.

მაგალითისათვის დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სახელმწიფო დეპარტამენტმა დამოუკიდებელი მარეგულირებლის (OFGEM) აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა, რომელიც შემდგომ დაამტკიცა პარლამენტმა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ქვეყნის მთავრობამ აიღო.

ავსტრიის ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტი ორი სამინისტროს - ეკონომიკის, ოჯახებისა და ახალგაზრდობის, ასევე სოფლის მეურნეობის, სატყეო, გარემოსდაცვისა და წყლის რესურსების მართვის სამინისტროების კოორდინაციით შემუშავდა, რომელიც მიიღო და განხორციელებაზე პასუხისმგებლობა აიღო ეკონომიკის, ოჯახებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ.

აზერბაიჯანის ენერგეტიკული სექტორის განვითარების სახელმწიფო გეგმა ენერგეტიკისა და ინდუსტრიის სამინისტრომ შეიმუშავა, დაამტკიცა პრეზიდენტმა, ხოლო განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ: ენერგეტიკისა და ინდუსტრიის სამინისტრო, სახელმწიფო ნავთობის კომპანია-SOCAR, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სამინისტრო, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აზერენერჯი, აზერიგაზი.

ხორვატიის ენერგეტიკული სტრატეგია ეკონომიკის, შრომისა და მეწარმეობის სამინისტრომ შეიმუშავა, რომელიც დაამტკიცა პარლამენტმა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობა მთავრობამ აიღო.

სტრატეგიის მოქმედების ვადები და დოკუმენტის გადახედვის პერიოდულობა

ენერგეტიკის სტრატეგიული დოკუმენტები იქმნება კონკრეტული ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე და მისი სამოქმედო პერიოდი დამოკიდებულია არსებული რესურსების, ისევე როგორც კონკრეტული განვითარების გეგმების და მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებაზე.

კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე სტრატეგიები შეიძლება გათვლილი იყოს როგორც მოკლევადიან (5 წლიან -TR), ასევე საშუალო (10-15 წლიან - AZ, HR) და გრძელვადიან (20-40 წლიან - RU, HU, MK, DE, UK, US) პერიოდებზე.

სტრატეგიების გადახედვის პერიოდულობა მრავალ ფაქტორზე და კონკრეტული ქვეყნის გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში სტრატეგიების გადახედვა ემთხვევა მთავრობის ცვლილებას, როგორც ეს შეერთებული შტატების შემთხვევაში მოხდა, სტრატეგიის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებმა (AT, HR, AZ, UA), ან გარე ფაქტორების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა (DE, TR, AM, MK).

რა ანალიტიკური მეთოდები გამოიყენება სტრატეგიის შესამუშავებლად?

ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების ძირითადი შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური და ენერგეტიკული მოდელირება და გრძელვადიანი დაგეგმვა, რომელიც სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება.

ხაზგასმით უნდა ითქვას რომ მოდელები არ იძლევიან შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველებას და არც სტრატეგიულ გადაწყვეტილებას კარნახობენ. ეს მხოლოდ ინსტრუმენტია, რითაც უნდა შეფასდეს ამა თუ იმ მოქმედების მოსალოდნელი შედეგები და შემდგომ შესაძლო ალტერნატივებიდან არჩეულ იქნას საუკეთესო მისი მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური გათვალისწინებით.

დაგეგმვის მოდელებიდან ცნობილია MARKAL/TIMES, WASP-4, MAED, MESSAGE და სხვა მრავალი. არის მოდელები, რომლებიც მთელ ენერგეტიკულ სისტემას მოიცავს არის ასევე უფრო სპეციფიური - ელექტროენერგეტიკული მოდელები.

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და კონტროლი

სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის არსებობა, რათა დასაბუთებული მონაცემების საფუძველზე შეფასდეს სტრატეგიის მიზნების შესრულება შესაბამის ვადებში. მონიტორინგი არის რეგულარული პროცესი და მის განხორციელებაში სხვადასხვა ჯგუფი თუ უწყება არის ჩართული. შედეგები ემყარება ფაქტობრივ მონაცემებს და გადმოცემულია მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტებში. ენერგეტიკული სტრატეგიები, როგორც წესი, მთავრობის სამოქმედო დოკუმენტებია, ამიტომ ენერგეტიკული სტრატეგიის შესრულებას მთავრობები აკონტროლებენ. მაგალითად ობამას ადმინისტრაციის ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტის შესრულების ანგარიშს ხელს აწერს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ექვსი სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირი.

მონიტორინგის კონკრეტული ღონისძიებები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება და ინდივიდუალურია. მრავალ ქვეყანაში (US, DE, TR, HR) ქვეყნდება ენერგეტიკული გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშები. ასევე ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია მუდმივ ექსპერტთა ჯგუფი (DE, HU, CS), რომელიც მონიტორინგს უწევს სტრატეგიული მიზნებისა და გეგმების შესრულებას.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისთვის, მაგალითად სერბეთში, შექმნილია ენერგეტიკული საბჭო, რომელშიც შედიან სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები (ეკონომიკის, გარემოს დაცვის ა.შ.) და მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც ანალიზებს მიღწევებს და თავს უყრის მონაცემებს სტრატეგიის შემდგომი განახლებისათვის. გერმანიაში შეფასების დეტალური ანალიზი ქვეყნდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. მონიტორინგში ჩართული არიან მეცნიერული წრეები და დამოუკიდებელი

ექსპერტები მონიტორინგის საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის ფორმირებას გულისხმობს რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიაც.

სტრატეგიის დოკუმენტის შინაარსი (ძირითადი საკითხები)

ზოგადი ხედვები პოლიტიკა, მიზნები, ამოცანები, ვალდებულებები

ამოცანის დასმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ამოხსნისათვის. ამიტომ სტრატეგიების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ხედვები და სტრატეგიის ზოგადი მიზნების დასმა, რაც ეფუძნება სექტორის მდგომარეობის, შესაძლებლობების, რისკების და შესასრულებელი ამოცანების სიღრმისეულ ანალიზს.

ენერგეტიკულ სტრატეგიას, როგორც წესი, წინ უძღვის **არსებული მდგომარეობის და სამომავლო განვითარების ხედვა**, რაც განსაზღვრავს სტრატეგიის ძირითად მიზანს და დანიშნულებას. ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების საფუძველია ენერგეტიკის მდგომარეობის, მისი პერსპექტივების სრულფასოვანი და ყოველმხრივი ხედვა. ამ ხედვის გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან საფუძველს ქმნის ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარის კოორდინირების, სტრატეგიის განხორციელების პროცესში ურთიერთგაგების და მოტივაციისათვის. ამიტომ არსებული მდგომარეობის სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების სრულფასოვანი (SWOT) ანალიზი უმეტეს ენერგეტიკულ სტრატეგიების ხედვის და ამოცანების განსაზღვრის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას და ინსტრუმენტს წარმოადგენს. სტრატეგიის მიზნები, სასურველი ხანგრძლივობა, მთავარი გარე პირობები და პრიორიტეტები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

მაგალითად ამერიკის ბოლო სტრატეგიის ხედვა არის ნავთობის ფასების მოსალოდნელი ზრდა და საკუთარ რესურსებზე ორიენტაციის აუცილებლობა, ასევე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის აუცილებლობა და ამ პირობებში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. გერმანიის სტრატეგიის ძირითადი ხედვა არის ატომური ენერგიაზე უარის თქმა და მთლიანად სუფთა ენერჯის (მათ შორის ნახშირის სუფთა ტექნოლოგიების) მოხმარებაზე გადასვლა. თურქეთის ენერგეტიკული სტრატეგიის ხედვა არის თურქეთის გადაქცევა რეგიონულ ენერგეტიკულ კვანძად და ა.შ. ზოგ ქვეყანას სტრატეგიის ზოგადი ხედვა გაცხადებული არა აქვს, მაგრამ ის ჩანს დასახული ამოცანებიდან (RU).

ამასთან ერთად, ენერგეტიკულ სტრატეგიებს აქვს რამოდენიმე კონკრეტული ამოცანა, რომლებიც ძირითადი ხედვიდან გამომდინარეობს, მისი იდეოლოგიის გაგრძელებას წარმოადგენენ და ასახავენ ენერგეტიკის ძირითადი მიზნების რეალიზაციის მიმართულებებს. ეს მიზნები, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მიზნებია: ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება, სანდო და ხარისხიანი ენერჯის მიწოდება ყველა სახის მომხმარებელამდე, კონკურენტუნარიანი ენერჯო სისტემა, სექტორის მდგრადი განვითარება (ზოგს აქვს ენერჯო სექტორის გარემოზე ზემოქმედების შემცირება).



მაგალითად ევროკავშირის 2020 სტრატეგია ამ ზოგად მიზანს ემსახურება ხუთი სტრატეგიული ამოცანის საშუალებით. ესენია: ენერჯოეფექტურობა, შიდა რესურსების განვითარება, ნავთობისა და გაზის რეზერვების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან.

ხორვატიამ 2002 წელს მიღებული 10 წლიანი ენერგეტიკული სტრატეგია 2009 წელს ახალი სტრატეგიით შეცვალა შემდეგი გარემოებების გამო: ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების რეალური შესაძლებლობები გაუჩნდა, 2007 წელს ენერგეტიკული გაერთიანების წევრი გახდა, ხელი მოაწერა კიოტოს პროტოკოლს, ბოლო წლებში ქვეყანა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა გლობალურ ბაზრებზე ფასების არასტაბილურობის გამო. გამომდინარე აქედან ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და ახალი პრიორიტეტებიც გაუჩნდა, შესაბამისად, შეიმუშავა ახალი სტრატეგია 2020 წლამდე, რომლის ძირითად მიზნებს მდგრადი, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა წარმოადგენს.

ავსტრიამ 2010 წელს მიიღო ახალი ენერგეტიკული სტრატეგია, რადგან ევროკავშირის მიერ მიღებული ახალი ენერჯოსტრატეგიის ფარგლებში ქვეყანას ახალი ვალდებულებები გაუჩნდა. აღნიშნული სტრატეგიის მთავარი მიზნებია ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება, ენერჯოეფექტურობისა და ეგწ-ების განვითარების ხელშეწყობა.

გერმანიამ 2011 წლის ფუკუშიმას კატასტროფისა და ევროკავშირის ახალი სტრატეგიიდან გამომდინარე გადაწყვიტა ენერგეტიკის დარგის სრული რესტრუქტურირაცია,

ეტაპობრივად დახურავს ატომურ ელექტროსადგურებს და მნიშვნელოვნად გაზრდის განახლებადების წილს ენერჯის მიწოდებაში. ამ ამოცანის შესასრულებლად 2012 წელს შეიმუშავა ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები რომლის მიზანსაც წარმოადგენს: ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარებით ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკური ეფექტიანობისა და გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით.

აშშ-ს 2011 წლის ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნები კი უსაფრთხო ენერგეტიკული სისტემის უზრუნველყოფა, დაგეგმილი შიდა რესურსების ათვისება, ინოვაციების დანერგვა, ეგწ-ებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებაა.

ზოგიერთი ქვეყნების სტრატეგიებში შეიძლება დაკონკრეტებული იყოს ასევე სექტორული და ტერიტორიული განვითარების საკითხები, ან ცალკე იყოს გამოყოფილი ტექნოლოგიური, ინოვაციური, თუ სხვა აქცენტები.

სტრატეგიების მიზნების და ამოცანების დაგეგმვისას როგორც ხედვის ნაწილი ასევე გათვალისწინებულია ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი განხორციელების ინსტრუმენტები რომელსაც სხვადასხვა ქვეყანა იყენებს თავისი არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, გარე და შიგა გამოწვევებისა და ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი ენერგეტიკული, ფინანსური, ტექნოლოგიური, საკადრო და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების სახით.

ელექტროენერგეტიკული სექტორი

ელექტროენერგეტიკული სექტორი ტრადიციულად ენერგეტიკული სტრატეგიების ცენტრალური ნაწილია, შეიძლება მას ცალკე სტრატეგიული გეგმა დაეთმოს რაც, მაინც, ერთიანი ენერგეტიკული სურათის თუმცა ძირითადი, მაგრამ მაინც ნაწილია.

ელექტროენერგეტიკა, როგორც ენერგეტიკის უმნიშვნელოვანესი დარგი ასახავს მიღებული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მაგალითად გერმანიის შემთხვევაში ეს არის ატომური სადგურების დახურვა, თურქეთისათვის ეს არის ელექტროენერგეტიკის ძირეული რეფორმირება და ბაზრის ლიბერალიზაცია, ევროპის ქვეყნებისათვის განახლებადი ენერჯის წილის გაზრდა და შესაბამისი ქსელის და ბალანსირების ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა. ხორვატია ხელსაყრელ საინვესტიციო პირობებს სთავაზობს ევროპულ კომპანიებს თბოსადგურების მის ტერიტორიაზე მშენებლობისთვის,

საიდანაც გამომუშავებულ ენერგიას ევროპის ერთიან ელექტროენერგეტიკულ ბაზარს მიაწვდიან.

ენერგეტიკული სტრატეგიის ფარგლებში კეთდება ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზები. მაგალითად გერმანიისთვის 2030-ში 20%-ით შემცირება 2008 დონესთან შედარებით. თურქეთის და ჩინეთისათვის, პირიქით, იგეგმება მოხმარების მკვეთრი ზრდა. სტრატეგიის ფარგლებში იგეგმება ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობა, მათი უპირატესი ტიპები, მაგალითად კომბინირებული ციკლის ან კოგენერაციის ობიექტები, ნახშირის სუფთა წვის, ჰიდრო და ა.შ. მოთხოვილების და გენერაციის პროგნოზების საფუძველზე ასევე დგება ქსელის განვითარების გეგმები.

ახალი განახლებადი ენერგიის ობიექტების მშენებლობა და ელექტროენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია ახალ მოთხოვნებს უყენებს ქსელების განვითარებას. მაგალითად გერმანიის ქსელის განვითარების 10წლიანი გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩდილოეთიდან სამხრეთისაკენ ენერგიის ნაკადი და რომელიც შესაბამის გზმ-თან ერთად გადის საზოგადოებრივი კონსულტაციის პროცედურას.

საერთაშორისო, რეგიონული ელექტროენერგეტიკული ბაზრები ენერგოუსაფრთხოების და ეკონომიკური ოპტიმიზაციის საშუალებაა. ქვეყნების დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მათ შორის მძლავრი წყალქვეშა საკაბელებო ხაზების გაყვანა (NO, UK, DE) ენერგეტიკული სტრატეგიების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბაზრის ლიბერალიზაცია, განახლებადი ენერგიის წილის ზრდა და განაწილებული (distributed) გენერაცია მოითხოვს ასევე გამანაწილებელი ქსელების მოდერნიზაციას. მაღალტექნოლოგიური ინტელექტუალური (ენერგეტიკული და ინფორმაციული) ქსელების გაყვანა და ინტელექტუალური მრიცხველების და მოწყობილობების დაყენება, - ახალი ტექნოლოგიებისთვის მაგალითად ელექტრული მანქანების, აღრიცხვის დახვეწილი სისტემების და ა.შ.

ელექტროენერგეტიკული ბაზრების განვითარება - საერთაშორისო ვაჭრობა და შიგა ბაზრის ლიბერალიზაცია, ფასწარმოქმნის სისტემა ხელს უწყობს მთლიანი სისტემის პრობლემების გადაჭრას - პიკური და არაპიკური ფასები და ტარიფები, მწვანე ენერგიის დანამატები და მწვანე ენერგიით ვაჭრობა წარმოადგენს საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემების ერთერთ გამოწვევას. ამიტომ სწორედ ელექტროენერგეტიკული სისტემებზე გადის ტექნოლოგიური და რეგულატორული ინოვაციური განვითარების წინა ხაზი.

წიაღისეული რესურსების მოპოვება/გადამუშავება - ნავთობი, გაზი და ქვანახშირი

ქვეყნების უდიდესი უმრავლესობის ენერგომომარაგებაში უდიდესი წილი ჯერ კიდევ წიაღისეულ ენერგორესურსებს (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი) უჭირავს. ამიტომ სტრატეგიის დოკუმენტებში ფართოდ არის განხილული ამ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები: მათი მოხმარება და მიწოდების წყაროები; მოხმარების ზრდის პროგნოზები სექტორების მიხედვით; წიაღისეული რესურსების შიდა მოპოვების და გადამუშავების პროგნოზები; იმპორტის წყაროებისა და სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები; არსებული გადამცემი და გამანაწილებელი მილსადენების რეაბილიტაცია და ქსელის გაფართოება; წიაღისეული ენერგორესურსების რეზერვების შექმნა, გაზსაცავების, LNG ტერმინალებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა; ფასების ცვალებადობის საკითხები და მათი რეგულირების მექანიზმები; ნავთობისა და გაზის შიდა და რეგიონალური ბაზრების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საკანონმდებლო-მარეგულირებელი გარემოს უზრუნველყოფა. თითოეული ეს საკითხი ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

წიაღისეული რესურსების გამოყენება ქვეყნების მიხედვით ძირითადად ერთნაირია. ქვანახშირს მეტწილად ელექტროენერჯის საწარმოებლად და მძიმე მრეწველობაში იყენებენ (DE, HR, TR, UK, US). გარემოზე მავნე ზემოქმედების გამო, ცალკეული ქვეყნები აპირებენ ქვანახშირის მოხმარების შემცირებას გრძელვადიან პერიოდში, თუმცა მისი სრული გამორიცხვა არცერთ განხილულ სტრატეგიაში არა იძებნება. აქცენტს ამ შემთხვევაში ქვანახშირის ეფექტურ და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვაზე აკეთებენ.

ბუნებრივი გაზის მოხმარების უდიდესი წილი შენობების გათბობასა და ელექტროენერჯის გენერაციაზე მოდის. იმისათვის, რომ შეამცირო ექსპორტიორი ქვეყნების მიერ გაზის პოლიტიკური ზეგავლენის იარაღად გამოყენება, იმპორტიორმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა გაზის მოხმარების შემცირების ღონისძიებებზე, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვითა და შენობების დათბუნებით. ნავთობპროდუქტებს მეტწილად ტრანსპორტის სექტორი მოიხმარს. საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ხშირი ცვალებადობა საფრთხეს უქმნის ქვეყნების ეკონომიკას და სოციალურ კეთილდღეობას, ამიტომ ზოგიერთი ქვეყანა ალტერნატიული ბიოსაწვავის წარმოებასა და ტრანსპორტში გაზის გამოყენებას (CNG) უწყობს ხელს (HR, US).

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის იმპორტიორი ქვეყნები (DE, UK, AM, HU, US) წიაღისეული ენერგორესურსების მიწოდების წყაროებისა და სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციაზე აკეთებენ აქცენტს, ექსპორტიორი ქვეყნები (AZ, RU, NO)

გასაღების ბაზრებისა და სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციას ცდილობენ, ხოლო ტრანზიტული ქვეყნები (TR, HR, UA, HU, AT) ლობირებენ საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების განხორციელებას და ენერგეტიკულ ბაზრებზე პოზიციონირებას.

თურქეთი და ხორვატია, როგორც იმპორტიორი და ამავე დროს ტრანზიტული ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ საერთაშორისო ენერგოსატრანზიტო პროექტების განხორციელებას, რათა ამით გაიუმჯობესონ როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოება, ასევე ეკონომიკური სარგებელიც მიიღონ. გარდა ამისა, თურქეთი აქტიურად მუშაობს წიაღისეული რესურსების შიდა ძებნა-ძიების მიმართულებით, მიუხედავად იმისა რომ საკუთრი მოპოვების წილი შესაძლოა უმნიშვნელო იყოს მთლიან მოხმარებაში.

გერმანია 88%-98% არის გაზისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე დამოკიდებული. ენერგეტიკული სექტორის სტაბილურობისათვის და უსაფრთხოებისათვის ცდილობს მიწოდების წყაროებისა და სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციას, ამასთან ხელს უწყობს ალტერნატიული ენერჯის წყაროების განვითარებას.

აშშ-ს ენერგეტიკისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო მოთხოვნის ზრდა და შესაბამისად ფასების მატება წარმოადგენს, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სტრატეგიის მიზანია მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაზრების განვითარების ხელშეწყობა. ამასთან მიწოდების უსაფრთხოებისათვის ზრდის შიდა მოპოვებასა და წარმოებას როგორც ხმელეთზე ისე ოკეანესა და ზღვებში.

აზერბაიჯანის ენერგეტიკული სტრატეგიის მიზანი შიდა ნავთობისა და გაზის საბადოების განვითარება, წარმოების ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა და სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობაა. განსხვავებით ნავთობის ბაზრისაგან აზერბაიჯანის გაზის ბაზარს ამ ეტაფზე მხოლოდ საქართველო და თურქეთი წარმოადგენს, ამიტომ ცდილობს ევროკავშირის ბაზარზე შესვლას სატრანზიტო მილსადენების განვითარების პროექტების ხელშეწყობით, რომლისთვისაც სახელმწიფო ფინანსებს იყენებს და ქვეყნის საკუთრების წილს ზრდის სატრანზიტო ნაწილშიც.

ენერგოეფექტურობა

ენერგოეფექტურობა ყველა ენერგეტიკული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია ვინაიდან ენერგოუსაფრთხოების მიზანი არის არა შეუზღუდავი მოხმარების დაკმაყოფილება,

არამედ მიწოდების და მოხმარების დაბალანსება რაც ოპტიმალურად მიიღწევა ორივე მხარეს ღონისძიებების გატარებით - როგორც მიწოდების ზრდით ასევე მოხმარების შეზღუდვით. ამასთანავე ენერგოეფექტურობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და კლიმატის ცვლილების შერბილებას, რის გამოც ხდება ენერგეტიკულ სტრატეგიებში მისი გათვალისწინება. ენერგოეფექტურობა შედის როგორც სტრატეგიის მიზნებში, ასევე მისი შესრულების ღონისძიებებში და ბოლოს დეტალურად განიხილება შესაბამის თავში.

ენერგოეფექტურობის კონკრეტული ღონისძიებები და მიზნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა უმრავლესობა ენერგოეფექტურობის ერთნაირ მაჩვენებლებს იყენებს. ესენია ეკონომიკის ენერგოტევადობა, მშპ-ს ერთეულზე მოხმარებული ენერჯის რაოდენობა. ზოგიერთი ქვეყანა (BY, UA, TR, MK) ამ ინდიკატორს იყენებს სამიზნედ, ამბობს რა, რომ მშპ-ს ენერგეტიკულ ინტენსივობას შეამცირებს კონკრეტული პროცენტით საბაზისო წელთან შედარებით. სხვა ქვეყნების (HR, DE) მიზანია პირველადი ან საბოლოო ენერჯის მოხმარების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი, საბაზისო წელთან შედარებით. ზოგიერთ ქვეყანას (BY, RU, UA) აქვს უფრო სპეციფიკური მიზნები როგორცაა სხვადასხვა სექტორში ენერჯის მოხმარების პროცენტული შემცირება. ზოგიერთ ქვეყანას (US, AM) კი არ მოყავს ენერჯის მოხმარების შემცირების რამე კონკრეტული მაჩვენებელი. ნაცვლად ამისა, მაგალითად აშშ დეტალურად აღწერს დაგეგმილ ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციების მოცულობებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ენერგოეფექტურობის მიღწევაში ხელმძღვანელობენ ევროკავშირის 20/20/20 სტრატეგიით, სხვა ქვეყნები კი ხელმძღვანელობენ საკუთარი დამოუკიდებელი პრინციპებით.

ენერგოეფექტურობის მიღწევის მიზნის განხილვას მოსდევს მისი მიღწევის ღონისძიებების აღწერა. ზოგიერთი ქვეყანა ცალკე გამოყოფს ტრანსპორტსა და შენობებს, როგორც ენერჯის ყველაზე დიდ მომხმარებლებს. ღონისძიებები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა შესაძლებელია საერთო პრინციპების გამოყოფა:

- ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია (ხშირ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ელექტროენერჯიაზე) და/ან ჯვარედინი სუბსიდირების აღმოფხვრა (UA, BY, RU, US, HR) რაც ზრდის ეფექტურობას როგორც მიწოდების ასევე მოხმარების მხარეს
- შენობებში ენერგოეფექტურობის გაზრდა (BY, UA, DE, TR, AM, MK, CS, EU)
- საკანონმდებლო ბაზის გავითარება ენერგოეფექტურობის კუთხით (RU, HR, MK, BY)
- სტანდარტები და მარკირება (RU, UA, AM, HR, MK, EU)

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობაზე (UA, RU, DE, TR, HR, EU)

ენერგოეფექტურობის პროგრამები ვერ განხორციელდება შესაბამისი დაფინანსების გარეშე. ქვეყნების უმრავლესობა განსაზღვრავს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს და მათ წყაროებს. მაგალითად გერმანიის ენერგოეფექტურობის ფონდის ბიუჯეტი 2010 წელს შეადგენდა €100 მილიონს. რუსეთს შეფასებული აქვს დაფინანსების წყარო, ზოგიერთი ქვეყანა კი (BY) უბრალოდ მიუთითებს სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო თანხას და ნაწილის ბიუჯეტიდან ნაწილის კი კერძო სექტორიდან დაფინანსებას გეგმავს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმრავლესობას აქვს საერთო პრინციპები ენერგოეფექტურობასთან მიმართებით, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე, საქართველოსთვის აქტუალური კონკრეტული საკითხი:

- ✓ აშშ ხაზს უსვამს ადამიანური რესურსის მნიშვნელობას. ახალი ეფექტური ტექნოლოგიები ინოვაციის შედეგად მიიღწევა, კვლევებისა და განვითარების გარეშე კი მეცნიერები და კვალიფიციური ექსპერტები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვერ გადადგამენ
- ✓ უკრაინა ენერგოეფექტურობას განიხილავს სამი მიმართულებით: ელექტოენერგია, გაზი და სითბო თითოეული ტიპის ენერჯისთვის განსაზღვრულია ძირითადი მომხმარებლები მიზნები და ღონისძიებები ეს ეხმარება უკრაინას სიღრმისეულად დაინახოს ენერგოეფექტურობის პოტენციალი სხვადასხვა სექტორში.
- ✓ პოსტსოციალისტური ქვეყნები (UA, HR და სხვ.) აღიარებენ ენერგოეფექტურობის დაბალ დონეს და მიუთითებს ამის მიზეზებს. რაც ეხმარება ქვეყნებს დასახონ უფრო რეალური მიზნები და ღონისძიებები ენერგოეფექტურობის მისაღწევად.
- ✓ ზოგიერთი ქვეყანა, ევროკავშირის მსგავსად, მიზნად სახავს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმების შექმნას კონკრეტულ მარეგულირებელ ღონისძიებების და ფინანსურ გაანგარიშებების ჩათვლით.
- ✓ ევროკავშირი გამოყოფს კერძო სექტორს და მუნიციპალიტეტებს, როგორც მნიშვნელოვან მოთამაშეებს ენერგოეფექტურობის განვითარების კუთხით. ევროკავშირის 2020 წლის სტრატეგიაში ხაზგასმულია მათი ინიციატივების (კერძო ბიზნესის წამომადგენლების, მერების შეთანხმების) მნიშვნელობა.

ფინანსური სტიმულირების სქემებს შეუძლიათ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებისა და განხორციელების დაჩქარება. აშშ-ს ენერგეტიკულ სტრატეგიაში ბევრი ასეთი სქემაა განხილული. მაგალითად, სპეციალურ საგადასახადო კრედიტები ელექტრომანქანებისათვის HOMESTAR და GOLDSTAR პროგრამები შენობების ენერგოეფექტურობის გასაზრდელად (50 %-იანი შეღავათი საოჯახო ტექნიკის განახლებისთვის). მთავრობა ასევე აწესებს საგადასახადო შეღავათებს ქარხნებს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის. გერმანია აძლევს პირდაპირ გრანტებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიების გამოსაყენებლად. სხვა ქვეყნებს მაგალითად RU, UA დაწესებული აქვთ ჯარიმები ენერჯის არარაციონალური გამოყენებისთვის და აქვთ ბონუსები ენერგოეფექტური დაწესებულებებისთვის.

ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისება

ქვეყნების განხილულ ენერგეტიკულ სტრატეგიებში ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ენერჯის განახლებადი წყაროების (ჰიდრო, ქარი, მზე, ბიომასა და ბიოსაწვავი, გეოთერმული წყლები...) ათვისება წარმოადგენს. ეგწ-ების ასეთი აქტუალობა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მათი განსაკუთრებული წვლილით აიხსნება, რაც სამომავლოდ მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების მძლავრ საშუალებად განიხილება. გარდა ამისა მათი რესურსი ამოუწურავია და გლობალურ გარემოს ნაკლებ ზიანს აყენებს. მდგრადი განვითარების პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების შემთხვევაში ეგწ-ების განვითარება მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს ქმნის ახალი სამუშაო ადგილებისა და მშპ-ში ენერგეტიკის სექტორის წილის ზრდით.

ევროპის ქვეყნები ვალდებულნი არიან ეგწ-ების წილის გაზარდონ საბოლოო ენერჯის მოხმარებაში. ავსტრიამ 2020 წლამდე 34%-მდე უნდა გაზარდოს ეგწ-ების წილი საბოლოო ენერჯის მოხმარებაში, მათ შორის 80%-მდე მხოლოდ ელექტროენერჯის მოხმარებაში. ხორვატიას ეს ნიშნული შედარებით დაბალი აქვს - 35%. მეზობელმა აზერბაიჯანმა საკუთარი ინიციატივით აიღო ვალდებულება 20%-მდე გაზარდოს ეგწ-ების წილი ელექტროენერჯის მოხმარებაში, ხოლო 10%-მდე საბოლოო ენერჯის მოხმარებაში.

ეგწ-ების განვითარების ხელშეწყობისათვის ცალკეული ქვეყნები ისეთ მექანიზმებს იყენებენ, როგორცაა: სუბსიდირებული ტარიფები (DE, MK, UK), საგადასახადო შეღავათები (AM, HR, DE, MK, US), ფონდების მობილიზება ეგწ-ების პროექტების დასაფინანსებლად (UK-Green Investment Bank, AZ – RE promotion and development fund, DE

- the Energy and Climate Fund, US- fund under the Recovery Act), ქსელზე პრივილეგირებული დაშვება ეგწ-ების ჩართვის შემთხვევაში (DE); მსხვილ მომხმარებლებზე ვალდებულების დაკისრება ეგწ-დან წარმოებული ენერჯის შესყიდვაზე, მწვანე სერტიფიკატები (EU) და ა.შ.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეგწ-ების სამუშაო ჯგუფს უკავია. ამის საუკეთესო მაგალითია ავსტრია, სადაც ენერგეტიკული სტრატეგიის შექმნის პროცესში ეგწ-ების მიმართულებით ორი სამუშაო ჯგუფი (ერთი ჰიდროენერჯის, მეორე დანარჩენი ეგწ-ების) მონაწილეობდა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ეგწ-ების მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე ქვეყნები ცალკე სტრატეგიებს ამუშავებენ მათ განსავითარებლად (AZ, DE, UK, CN). წიაღისეული ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყნებიც კი როგორცაა აზერბაიჯანი, ნორვეგია და აშშ ეგწ-ების განვითარებისათვის ფონდებს ქმნიან და სოლიდურ ინვესტიციებს ახორციელებენ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროგაერთიანება, რომელიც განახლებადი ენერჯის წყაროებს განიხილავს როგორც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ასევე საკუთარი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდის და გაზის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების ასევე ტექნოლოგიური განვითარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად (EU, DE, NO).

ინოვაციებისა და კვლევა-დანერგვის ხელშეწყობა, კადრების განვითარება

21-ე საუკუნეში ინოვაცია განიხლება როგორც ქვეყნების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ეს განსაკუთრებით შეეხება ენერგეტიკის ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად ურთულეს დარგს. შესაბამისად: ინოვაციური განვითარების, კვლევებისა და დანერგვის მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების ენერგეტიკულ სტრატეგიებში სხვადასხვა ძირითადი მიმართულებები განიხილება:

1. სტრატეგიის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა - მაგალითად გერმანიის სუფთა ენერჯიაზე მთლიანად გადასვლის სტრატეგია მაღალ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს აყენებს. შესაბამისად, ქვეყანამ 2011წელს 733 მილიონი ევრო გამოყო ძირითადად ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის, ატომური სადგურების უსაფრთხოების და თერმობირთვული კვლევების

განსახორციელებლად. 2014 წლისთვის იგეგმება ამ თანხის თითქმის 30%-ით გაზრდა.

2. უკრაინის ენერგეტიკული სტრატეგია ერთერთ საფრთხედ განიხილავს სათანადო პროფესიული კადრების ნაკლებობას, შესაბამისად კვლევა-განვითარების დარგში უპირველეს ამოცანად სახავს ახალი კადრების მომზადებას და ძველის გადამზადებას ენერგეტიკულ მეცნიერებასა და განათლებაში სახელმწიფო და კერძო სახსრების მოზიდვის უზრუნველყოფა ერთერთ უმთავრეს ამოცანად განიხილება. ანალოგიური მიდგომა არის თურქეთის მოკლევადიან სტრატეგიაში, კონკრეტულად სამინისტროს კადრების კვალიფიკაცია არადაამაკმაყოფილებლად მიაჩნია და გეგმავს სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრების რაოდენობის ზრდას.
3. ნორვეგიას სპეციალური ინოვაციური სტრატეგია რომელიც ემსახურება მის პოზიციონებას როგორც ენერგეტიკის ტექნოლოგიების განვითარების და მსოფლიო ლიდერს მათი გადაცემის დამატებით კვლევის და დანერგვა დემონსტრირების სამუშაოების დაფინანსების 140 მილიონი დოლარით გაზრდას.
4. სომხეთის შემთხვევაში ინოვაციური განვითარება მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ნაწილია და გულისხმობს ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებას და მეცნიერებატევადი პროდუქტების ექსპორტს, მათ შორის ენერგეტიკაში.

ინოვაციური და კვლევა-დანერგვის სამუშაოებისათვის ქვეყნები ითვალისწინებენ კვლევით პროგრამების გაზრდილ დაფინანსებას, და ტექნოპარკების განვითარებას. ამერიკაში უნივერსიტეტების გარდა არის სპეციალური ენერგეტიკული კვლევების სააგენტო ARPA-E 200 მილიონი დოლარის დაფინანსებით, ამასთან ხდება ინოვაციური ცენტრების (Hub) ორგანიზება ქვეყნის საუკეთესო ინტელექტუალური რესურსების მოზიდვით (US). 2011 წელს სამი ასეთი თემატური ცენტრი არსებობდა 2012 წლიდან კი მათი რაოდენობის გაორმაგება იგეგმებოდა (US). აზერბაიჯანს შექმნილი აქვს ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პოლიგონი (AZ).

საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად, ენერგეტიკული კვლევის პროგრამები აქტიურად იზიდავს კერძო ინვესტიციებს. ხაზგასასმელია, რომ ეს ყველაფერი ემატება იმ აქტიურ კვლევა დანერგვის სამუშაოს, რასაც უნივერსიტეტები, თუ მსხვილი კერძო კომპანიების კვლევითი ცენტრები აწარმოებენ.

ამდენად, სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებულად აქვთ განხილული ენერგეტიკის ინოვაციური განვითარების და კვლევა-დანერგვის საკითხები თავიანთ ენერგეტიკულ სტრატეგიებში. ყველა შემთხვევაში ეს არის დაკავშირებული სტრატეგიის ამოცანების და ამ მიმართულებით ქვეყნის წინაში მდგარი ამოცანების გადაწყვეტასთან და ითვალისწინებს

არსებულ მდგომარეობას და მომავალ გამოწვევებს. ანუ ის განიხილება როგორც ენერგეტიკული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი და ასევე სტრატეგიის კონკრეტული მიზნების განხორციელების ინსტრუმენტი.

ინტელექტუალური ქსელების, მაღალი წარმადობის ტექნოლოგიების, განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების განვითარება ქვეყნების ინოვაციური ტექნოლოგიური განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

საკანონმდებლო ბაზა და განხორციელების მექანიზმები

ენერგეტიკული სტრატეგიების შექმნისა და განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენს. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა ორი მიმართულებით შეიძლება განიხილებოდეს. პირველ რიგში კანონები ქმნიან ზოგად ჩარჩოს და შესაბამისი აკრძალვა დაშვებების გზით არეგულირებენ სექტორის ფუნქციონირებას და მეორე - საკანონმდებლო რეგულირება ქმნის იმ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც სტრატეგიის განხორციელებისთვის არის საჭირო. ამიტომ ბევრი ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელების აუცილებელ ნაწილად საკანონმდებლო ცვლილებები განიხილება.

სამართლებრივი ბაზის შექმნის წყარო ქვეყნების უმეტესობისთვის ევროკავშირის დირექტივებია. აღნიშნული დირექტივები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- შიდა ენერგეტიკული ბაზრები, ენერგოეფექტურობა
- განახლებადი ენერჯია
- ატომური ენერჯია
- ენერგოუსაფრთხოება
- ელექტროენერჯია, გაზი, ნავთბი და ა.შ.

თითოეული თემა მოიცავს სხვადასხვა კონკრეტულ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს. ენერგეტიკის სფეროში არსებული კანონების თემატიკა ქვეყნების უმეტესობისთვის ერთი და იგივეა და ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კანონი ენერგეტიკის შესახებ, განახლებადი ენერჯის წყაროების შესახებ, ატომური ენერჯის შესახებ, ენერჯის მიწოდებისა და ენერგოეფექტურობის, ენერგოდაზოგვის შესახებ, ენერჯის მიწოდების წყაროების უსაფრთხოების შესახებ, ენერგეტიკის სატარიფო პოლიტიკის შესახებ და ა.შ.

რაც შეეხება სტრატეგიის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს, ამისთვის ქვეყნებს განსხვავებული მექანიზმები აქვთ, მაგალითად, გერმანიის ახალი

ენერგეტიკული პოლიტიკა გულისხმობს განახლებადი ენერჯის წყაროების მაქსიმალურ ათვისებასა და გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტის განხორციელებას. ამ პროექტების დაფინანსების წყაროდ განიხილება ენერჯის მომხმარებლებისა და მწარმოებელი ბიზნეს სტრუქტურებისთვის შესაფერისი გადასახადის დაკისრება, ასევე პროექტების დაფინანსებისთვის გამოიყენება გარემოს დაცვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი ენერგეტიკისა და კლიმატისა ფონდის სახსრები, რომლის შემოსავალსაც წარმოადგენს გარემოს კლიმატის ცვლილების ჩარჩი კონვენციის კიოტოს პროტოკოლს ფარგლებში ემისიებით ვაჭრობისგან მიღებული შემოსავალი.

სპეციალური პროგრამები: აზერბაიჯანს, როგორც ნავთობის მწარმოებელ ქვეყანას, თავის ენერგეტიკულ სტრატეგიაში სწორედ ნავთობის მოპოვებისა და ვაჭრობის განვითარებაზე აქვს ძირითადი ყურადღება გადატანილი, რომლის ორგანიზებისთვისაც შექმნილია სახელმწიფო ნავთობის ფონდი. შესაბამისად პროექტების დაფინანსება საბიუჯეტო თანხებით იგეგმება.

საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, რომელსაც ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელებითვის სპეციალური პროგრამები აქვს შემუშავებული, მაგალითად ეს პროგრამებია:

- სატრანსპორტო და ავიაციის სექტორის მოდერნიზება, რაც გულისხმობს საწვავის სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას უფრო ეფექტური მანქანების გამოშვებით, ბიოდიზელის გამოყენების დანერგვას, ელექტრო მანქანების მასობრივ გავრცელებას.
- ენერგოეფექტურობის პროგრამები - დაბალი შემოსავლის მქონე ამერიკელებისთვის ენერჯის საფასურის შემცირება მათ საცხოვრებელ სახლებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვით. ეს პროგრამა სულ 16 500 შენობაში განხორციელდა და დიდი რაოდენობით ენერჯის დაზოგვა გამოიწვია.
- სუფთა ენერგეტიკის პროგრამები - სპეციალური გრანტების გაცემა ინდუსტრიულ ორგანიზაციებზე და არსებული მოძველებული ტექნოლოგიების თანამედროვე დანადგარებით შეცვლა რომლებსაც ნაკლებ საზიანო ეფექტი აქვთ გარემოზე. 2008-2010 წლებში ამ პროგრამის მიზნებისთვის გაიცა 479 მილიონ დოლარის რაოდენობის გრანტი.

აღსანიშნავია, რომ ამ და სხვა პროექტების უმრავლესობა დაფინანსდა ენერგეტიკის დეპარტამენტის „განახლების აქტის“ (recovery act) საფუძველზე, რომელიც შტატების ბიუჯტიდან ფინანსდება.

საქართველოსთვის სავარაუდოდ საკანონმდებლო ცვლილებები სექტორის შემდგომი განვითარების და შესაბამისად ენერგეტიკის სტრატეგიის აუცილებელი ნაწილი იქნება.

ენერგეტიკული ბაზრების განვითარება

ენერგეტიკული ბაზრის კონკურენტული განვითარება არის სტრატეგიების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის (EU) ერთერთ მთავარ მიზანს ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნა, მისი გაფართოება და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს, რამაც საფუძველი უნდა დაუდოს როგორც მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ასევე ფასების შემცირებას კონკურენციის პირობებში. კონკურენცია განიხილება როგორც ეფექტურობის გაზრდის, ხარჯების შემცირების და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობა.

ხორვატიის (HR) ენერგეტიკული სტრატეგიის ამოცანებია:

- ბაზარზე კონკურენციის განვითარებს ეფექტური იურიდიული ბაზის შექმნა,
- ელექტროენერჯის გამომუშავების როგორც მშპ-ს ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილის ჩამოყალიბება, რაც მოახდენს მოსახლეობის დასაქმებას.
- ეკონომიკურად ეფექტური და დაბალხარჯიანი საშუალებების შექმნა, ელექტროენერჯის დაზოგვისათვის.
- რეგიონულად კონკურენტუნარიანი ელექტროსადგურების აშენება, და სხვა.

ეროვნული კონკურენტული ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ენერგომომწოდებლებთან, მეზობელი ქვეყნებსა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებული ურთიერთობა და მათთან თანამშრომლობა (DE, HU, MK, AM, US). ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა როგორც ევროკავშირია და მათი დირექტივებისა და კანონების განხორციელებაში ჩართვა ერთერთი გზაა ეროვნული ბაზრის განვითარებისათვის.

ზოგიერთი ქვეყნის სტრატეგიის მიზანია რეგიონული მნიშვნელობის და საერთაშორისო მოთამაშედ დამკვიდრება (TK,HR,RU) მეზობელ ქვეყნებთან ერთად საერთო ენერგეტიკული ბაზრების შექმნა (HU),

შესაძლებელია ბაზრის სრულიად ახალ საწყისებზე გადაყვანა (DE). მაგალითად, გამომუშავების პროცესიდან ბირთვული ენერჯის სრულიად ამოღება და მისი ჩანაცვლება უფრო უსაფრთხო და ეფექტური ენერჯის წყაროებით. ეს პროცესი

აუცილებელია მოხდეს კონკურენტული გარემოს დაცვის პირობებში, როგორც ეს გერმანიაში მიმდინარეობს.

კონკურენტული ბაზრის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივის ჩართვა ბაზრის ფუნქციონირებაში. მათ შორის პრივატიზაციის საშუალებით შესაძლებელი არსებული და ფუნქციონირებადი ელექტროსადგურების პრივატიზაცია, სამართავად გადაცემა და ინვესტიციის მოზიდვა(TK), არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და განახლება(AZ). აქტიურად უნდა მოხდეს ენერჯო ბაზრის ლიბერალიზაცია რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მწარმოებლების განვითარებას, ასევე, უცხოელი ინვესტორებისათვის შემოსვლას (AM).

უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად, ხორვატიის სტრატეგიაში განიხილება შემდეგი საშუალებები: მაკროეკონომიკული სტაბილურობა, ეფექტური სახელმწიფო მართვა, საგადასახადო სისტემა იურიდიული უსაფრთხოება, კარგად განვითარებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ინვესტიციების მოტივაციის არსებობა და სხვა (HR).

კონკურენციის დანერგვასთან ერთად აუცილებელია ბუნებრივი მონოპოლიების (ქსელური საწარმოების მკაცრი და ეფექტური რეგულირება მათი სერვისის ხარისხის და ფასების გაკონტროლება, რათა არ მოხდეს მომხმარებლების უფლებების შეზღუდვა(HR,MK), მაგრამ ასევე დაუტოვოს საკმარისი მოგება განვითარებისათვის.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის თვალსაზრისით ორი მნიშვნელოვანი კონტექსტის გამოყოფა შეიძლება. ეს არის გლობალური კლიმატის ცვლილების შერბილება და ლოკალურ გარემოზე ზემოქმედება როგორც ენერგეტიკული ობიექტების (ელექტროსადგურები, გადამცემი ხაზები, მილსადენები), ასევე მოხმარების (ტრანსპორტის გამონახობლქვი, გათბობის სისტემები და ა.შ.)

განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკულ სტრატეგიებში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გლობალური კლიმატის ცვლილების საკითხებს ვიდრე ენერგეტიკული ობიექტების გარემოზე ზემოქმედების საკითხებს. იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი ავტომატურად მოგვარებულია მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ფარგლებში. ამიტომ, ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ძირითადად ჰიდროპოტენციალით მდიდარი ქვეყნებიდან.

ნორვეგიაში გარემოს დაცვის კუთხით საკანონმდებლო მოთხოვნაა რომ ნებისმიერ დაგეგმილ პროექტს და მშენებლობას უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. ამ სახის საკანონმდებლო რეგულირება იწყება 1990 წლიდან - დაგეგმვისა და მშენებლობის აქტის მიღებით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

- მშენებარე ობიექტი არ უნდა მდებარეობდეს და არ აზიანებდეს მნიშვნელოვან ლანდშაფტს, კულტურული ღირებულების მქონე მონუმენტებს, ძეგლებს.
- არ უნდა მდებარეობდეს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა სახეობის განსაკუთრებული ჯიშის მცენარეებს და მათ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას დაზიანების საფრთხე ექმნება.
- აშენებული ობიექტების გამო არ უნდა ხდებოდეს ნიადაგის, ჰაერის, წყლის დაბინძურება, წყალდიდობები ან რადიოაქტიური ნივთიერების გამოსხივება.

აღნიშნულია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებლობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისეთ დარგებში როგორცაა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (NO).

ავსტრიის ენერგეტიკულ სტრატეგიაში ცალკე თავი არ ეთმობა გარემოს დაცვით საკითხებს, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, ხაზგასმულია, რომ გარემო დაცვის კუთხით მოქმედებს ევროკავშირის სტანდარტები და მათი დაცვა და გათვალისწინება ავტომატურად იგულისხმება ნებისმიერი ენერგეტიკული პროექტის განხორციელების დროს.

განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა გარემოს დაცვის კუთხით არის ჰაერის დაბინძურება, სასმელი წყლის დაბინძურება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან ბევრს (მაგ, CH) არ აქვთ სათანადოდ მოწესრიგებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, შესამაბისად ამ დარგის რეგულირებას ნაკლები ყურადღება ეთმობა, თუმცა საუბარია, რომ ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ შესაძლებელი იქნება მეტი ზრუნვა სუფთა გარემოსა თუ სასმელ წყალზე.

შეჯამებისთვის, განვითარებული ქვეყნები უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ გარემოს დაცვას, რადგან მათ აქვთ ამისი საკანონმდებლო ვალდებულება და ევროკავშირის დირექტივები, რომლებიც ზუსტ სახელმძღვანელო პრინციპებს იძლევა როგორ უნდა მოხდეს ამ სფეროს რეგულირება.

დანართი

ენერგეტიკული პოლიტიკა & სტრატეგია / ქვეყანა	ავსტრია	გერმანია
ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული ინდიკატორები	(2010წ) მოსახლეობა: 8,389,771 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 44,916 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 4,034 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე: 8,356 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 114	(2010წ) მოსახლეობა: 81,776,930 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 40,163 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 4,003 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე: 7,215 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 119
დოკუმენტის დასახელება, წყარო და მოცულობა;	ავსტრიის ენერგეტიკული სტრატეგია 140 გვერდი (გერმანულად)	გერმანიის ახალი ენერგოპოლიტიკა 55 გვერდი (ინგლისურად)
ხედვის პერიოდი	2005-2020, 15 წლიანი	2012-2050, 40 წლიანი
რომელმა უწყებამ შეიმუშავა დოკუმენტი? (წელი)	ეკონომიკის, ოჯახებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (www.en.bmwfj.gv.at); სოფლისმეურნეობის, სატყეო, გარემოსდაცვისა და წყლის რესურსების მართვის სამინისტრო. ამ ორი სამინისტროს კოორდინაციით შემუშავდა სტრატეგია. წელი: 2010	ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტი. http://www.bmwi.de წელი: 2012
რომელმა ორგანომ მიიღო და დაამტკიცა?	მიიღო ეკონომიკის, ოჯახებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ.	2010 წლის სექტემბერში გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ მიიღო ენერგეტიკის კონცეფცია, 2011 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო „ენერგოპაკეტი“ (6 კანონი და 1 დადგენილება), ორივე ეს საფუძვლად დაედო ახალ ენერგოპოლიტიკის დოკუმენტს.
ვინაა პასუხისმგებელი სტრატეგიის განხორციელებაზე?	ეკონომიკის, ოჯახებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტრო
მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები?	უცნობია	მზადდება ყოველ 3 წელიწადში მონიტორინგის დეტალური ანგარიშები დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიის მიერ. ამასთან სამინისტრო

		ყოველწლიურად გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენებს “Energiewende!” სადაც ასევე შეფასდება მიმდინარე პროცესები პოლიტიკასთან მიმართებაში. ასევე შეიქმნა პლათფორმა 8 სამუშაო ჯგუფისაგან რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ქსელის განვითარებას.
რა რესურსი (დრო, სპეციალისტები) დასჭირდათ დოკუმენტის შესაქმნელად?	დრო: 04/2009 – 03/2010 ≈ 1 წელი სპეციალისტები: 180 ექსპერტი. ფედერალური ადმინისტრაციის, რეგიონებისა და ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერები და არასამთავრობო ორგანიზაციები 9 თემატურ ჯგუფად დაყოფილები მუშაობდნენ სტრატეგიის შემუშავებაზე. საბოლოოდ წარმოადგინეს 370 რეკომენდაცია.	დრო: 1 წელი სპეციალისტები: უცნობია
ხედვა, მიზანი, ამოცანები	მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბება ევროკავშირის წესების გათვალისწინებით. სტრატეგიის მთავარი ამოცანებია ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება, ენერგოეფექტურობისა და ეგწ-ების განვითარების ხელშეწყობა.	ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკონომიკური ეფექტიანობისა და გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით გერმანიის ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანია. სრული რესტრუქტურისა და დაგეგმილი ელექტროენერჯის წარმოების, ენერგო-ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სექტორებში.
გამოყენებული ანალიტიკური და დაგეგმვის ტექნოლოგიები	დოკუმენტში არაა მითითებული კონკრეტული მოდელი და მეთოდოლოგია, თუმცა ცალკეული განვითარების სცენარები აქვთ შექმნილი და გაანალიზებული.	გერმანია წამყვანი ქვეყანაა სისტემური ანალიზის მიმართულებით. დოკუმენტში არაა მითითებული კონკრეტული მოდელები და მეთოდოლოგიები, თუმცა ანალიტიკური და ტექნოლოგიური კვლევებისათვის დაფინანსების გაზრდაზე არის საუბარი.
სტრატეგიის ინსტრუმენტები? (ფონდები, სტიმულირების მექანიზმები, საკანონმდებლო)	უცნობია	ენერჯისა და კლიმატის ფონდი (the Energy and Climate Fund), ენერგოეფექტურობის ფონდი, შენობების მოდერნიზების პროგრამები და ა.შ.
მიწოდებისა(ენერჯის წყაროები) და მოხმარების რომელი სექტორები განიხილეს?	მოხმარების სექტორებიდან პრიორიტეტულია: შენობების გათბობა/გაგრილება, ინდუსტრია, ტრანსპორტი ენერგო წყაროებში ძირითადად ამცირებენ: ნავთობპროდუქტებს, გაზს, ქვანახშირს,	მოხმარების სექტორებიდან პრიორიტეტულია: შენობების მოდერნიზება და ეფექტიანობის ზრდა, ტრანსპორტი, ინდუსტრია. მიწოდების სექტორში ძირითადად ელექტროენერჯიას და მის წარმოებაში ეგწ-ების

	ზრდიან განახლებადებს, ბიოსაწვავს.	წილის ზრდას განიხილავენ.
<p>დოკუმენტის სტრუქტურა (სარჩევი)</p>	<p>01 მოკლე მიმოხილვა 02 გამოწვევები 03 არსებული სიტუაციის ანალიზი 04 მდგრადი ენერგეტიკული სისტემის სამიზნე მოდელი 05 ავსტრიის ენერგეტიკული სისტემა, ხედვა 5.1 ენერგოეფექტურობა - პოლიტიკის მთავარი მიმართულება 5.2 ენერჯის მიწოდებაში ეგწ-ების წილის ზრდა 5.3 გრძელვადიან პერიოდში ენერჯის უსაფრთხო მიწოდება 06 გზა, მიზნების მისაღწევად 6.1 ადრეული სამუშაოები (2005-2009) 6.2 ზომები-Cross-cutting measure 6.3 მშენებლობა 6.4 ინდუსტრიული და კომერციული წაროება 6.5 ტრანსპორტი 6.6 ენერჯის მიწოდება 6.7 ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება 07 შესაძლო შედეგები 7.1 საბოლოო ენერჯის მოხმარება 7.2 ეგწ-ების წილი ენერჯის მიწოდებაში 7.3 სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირება 7.4 მაკროეკონომიკური ეფექტი 08 მონიტორინგი და შეფასება</p>	<p>1. ენერგეტიკული პოლიტიკა 2. ენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ფარგლებში 3. ელექტროქსელის სასწრაფო განვითარება ეგწ-ების ათვისებისათვის 4. ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებისათვის თანამედროვე გაზისა და ქვანახშირის ელექტროსადგურების მშენებლობის საჭიროება 5. ბაზრის ინტეგრაცია 6. ენერგეტიკული კვლევების განვითარება 7. ენერგოეფექტურობა - სსტემის რესტრუქტურისა და ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი 8. ჩვენ გვჭირდება ევროპა როგორც პარტნიორი, რესტრუქტურისა და ეკონომიკური პროცესში, დასახმარებლად. 9. კარგი საგარეო ენერგოპოლიტიკა, როგორც ენერჯის უსაფრთხო მიწოდების გარანტი.</p>

<p>სხვა კომენტარები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შემთხვევაში დამატებით 111,000 სამუშაო ადგილი შეიქმნება. • მოხმარების ოპტიმიზაცია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ავსტრიისათვის 2020 წლისათვის მთლიანი მოხმარება 1,110 პეტაჯოულამდე უნდა შეამციროს, როცა 2005 წელს ეს რიცხვი 1,156 შეადგენდა. • 2020 წლისათვის ეგწ-ების წილი მთლიან ენერგო მოხმარებაში 34%-მე უნდა გაზარდონ, ხოლო ელ.ენერგია მოხმარებაში 80%-მდე. 	<ul style="list-style-type: none"> • 2010 წლის სექტემბერში გერმანიის ფედერალურმა მთავრობა მიიღო ენერგეტიკის კონცეფცია „Energy Concept for an Environmentally Sound, Reliable and Affordable Energy Supply“, რომლის მიზანიც ეგწ-ების, ენერგოეფექტურობისა და ელ.ენერგეტიკული ქსელის განვითარება იყო. 2011 წლის ფუკუშიმას კატასტროფის შემდეგ, იმავე წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო „ენერგოპაკეტი“ (6 კანონი და 1 დადგენილება), ორივე ეს საფუძვლად დაედო ახალ ენერგოპოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც საბოლოოდ 2012 წელს დაზუსტდა. • აკეთებენ დარგის სრულ რესტრუქტურისაციას, ატომურების დახურვისა და ევროპის 2020 სტრატეგიის მოთხოვნებიდან გამომდინარე (განახლებადების 80% წილი ელ. ენერგიის გენერაციაში 2050-მდე). • ენერგოეფექტურობის განვითარება ძირითადად მოხდება ნებაყოფლობით, სტიმულირების მექანიზმების გამოყენებით, ინვესტიციების ხელშეწყობით. • 2020 წლისთვის 10%-ით, ხოლო 2050 წლისთვის 25%-ით უნდა შეამცირონ ელ.ენერგიის მოხმარება 2008 წ. შედარებით. • ტრანსპორტის სექტორში საბოლოო ენერგიის მოხმარებას 40% ამცირებენ 2050 წლისათვის 2005 წ. შედარებით.
-------------------------	--	--

ენერგეტიკული პოლიტიკა & სტრატეგია / ქვეყანა	ამერიკის შეერთებული შტატები	დიდი ბრიტანეთი
ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული ინდიკატორები	(2010წ) მოსახლეობა: 309,349,689 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 46,611 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე:7,164 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე:13,393 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 170	(2010წ) მოსახლეობა: 62,231,336 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 36,256 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე:3,254 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე:5,736 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 99
დოკუმენტის დასახელება, წყარო და მოცულობა;	უსაფრთხო ენერგეტიკული მომავლის გეგმა 44 გვერდი	ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია 74 გვერდი
ხედვის პერიოდი	2011-2035, 25 წლიანი	2012 – 2050, 40 წლიანი
რომელმა უწყებამ შეიმუშავა დოკუმენტი? (წელი)	თეთრი სახლის ენერგეტიკის დეპარტამენტმა http://www.whitehouse.gov/energy წელი: 2011 წლის 30 მარტი	ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტმა დამოუკიდებელი მარეგულირებლის (ofgem) დახმარებით. www.gov.uk წელი: 2012 წლის ნოემბერი
რომელმა ორგანომ მიიღო და დამტკიცა?	თეთრი სახლი, ობამას ადმინისტრაცია.	პარლამენტი
ვინაა პასუხისმგებელი სტრატეგიის განხორციელებაზე?	მთავრობა	მთავრობა
მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები?	ყოველწლიურად იბეჭდება პროგრეს რეპორტები	უცნობია
რა რესურსი (დრო, სპეციალისტები) დასჭირდათ დოკუმენტის შესაქმნელად?	უცნობია	დაახლოებით 1 წელი.
ხედვა, მიზანი, ამოცანები	უსაფრთხო ენერგეტიკული სისტემის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქვთ შიდა რესურსების ათვისება, ინოვაციების დანერგვა, ეგწ-ებისა და ენერგოეფექტური	მთავარი მიზანი: ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამოცანები: შესაძლო შეფერხებების აღკვეთა, ენერგოეფექტურობა, ეკონომიკური წარმოების ზრდა, გლობალური

	ტექნოლოგიების განვითარება.	ენერგეტიკული ბაზრის საიმედოობის გაზრდა, ქსელის შექმნა, დეკარბონიზაცია.
გამოყენებული ანალიტიკური და დაგეგმვის ტექნოლოგიები	უცნობია	შედეგები და მონაცემები მიღებულია სხვადასხვა კვლევებიდან, თუმცა რამე კონკრეტული მოდელი არ არის მითითებული
სტრატეგიის ინსტრუმენტები? (ფონდები, სტიმულირების მექანიზმები, საკანონმდებლო)	2009 წელს მიიღეს კანონთა პაკეტი - the Recovery Act, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას სპეც. პროგრამებით. TIGER (Transportation Investments Generating Economic Recovery) პროგრამა. სახელმწიფო სააგენტოები და დეპარტამენტები ეფ-ების განსავითარებლად აფინანსებენ მეწარმეებს the Recovery Act-ის ფარგლებში.	მითითებულია სტადარტების უზრუნველყოფის რეგულირების საშუალებები, ბაზრებს შეუძლიათ მომხმარებლის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, საჭირო ინვესტიციები მოძიებულია და შემუშავებულია სპეციალური ღონისძიებები რაც უნდა განხორციელდეს კომპანიების მარცხის შემთხვევაში
მიწოდებისა(ენერჯის წყაროები) და მოხმარების რომელი სექტორები განიხილეს?	მიწოდების სექტორებში განიხილავენ ძირითადად ნავთობპროდუქტებს, გაზს, ელექტროენერჯიას. მოხმარების სექტორებიდან კი ტრანსპორტს, შენობებს, ინდუსტრიას.	მიწოდებისა კუთხით სტრატეგია განიხილავს ელექტროენერჯიას, გაზსა და ნავთობს, დიდი ყურადღება ეთმობა რისკების სენსიტიურობის ანალიზს.
დოკუმენტის სტრუქტურა (სარჩევი)	I. შესავალი II. მოკლე შინაარსი III. ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება ➤ ადგილობრივი ნავთობისა და გაზის წარმოების ზრდა-განვითარება ➤ ენერჯის მიწოდების უფრო უსაფრთხო და სუფთა გზაზე სიარული IV. მომხმარებლებისათვის არჩევანის მიცემა დაზოგოს ენერჯია და შეამციროს ხარჯები ➤ ხარჯების შემცირება ეფექტური ტრანსპორტის განვითარებით ➤ გადასახადების შემცირება ეფექტური მშენებლობით V. ინოვაციების განვითარება და სუფთა გარემო ➤ ამერიკის სუფთა ენერჯის პოტენციალის გამოყენება	მინისტრის წინასიტყვაობა მოკლე შესავალი 1. დიდი ბრიტანეთის ტენდენციები ენერჯის მოთხოვნის კუთხით 2. ენერგეტიკული უსაფრთხოება 3. ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები 4. ელექტროენერჯია 5. გაზი 6. ნავთობი 7. ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება დანართი A – ენერგოუსაფრთხოების გათვალისწინების მეთოდოლოგია

	<ul style="list-style-type: none"> ➤ კვლევა-დანერგვის განვითარება ➤ მაგალითი: ფედერალური მთავრობა და სუფთა ენერჯია 	
სხვა კომენტარები	<ul style="list-style-type: none"> • ეფექტურობას ზრდიან ტრანსპორტის ყველა სახეობაში. 2015 წლისთვის კი 1 მილიონი ელექტრო მანქანის წარმოებას გეგმავენ. ამასთან ხელს უწყობენ ალტერნატიული საწვავის განვითარებას. ტრანსპორტზე მოდის ნავთობპროდუქტების მოხმარების 70%. 	<ul style="list-style-type: none"> • აქვთ რამდენიმე სტრატეგია: ენერგოუსაფრთხოების სტრატეგია, განახლებადი ენერჯის წყაროების სტრატეგია, ენერგოეფექტურობის სტრატეგია. • სტრატეგიის მომზადების პერიოდში მათ გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყნის კვლევა და მასალები (ავსტრალიის მთავრობის რესურსების დეპარტამენტი, ენერგეტიკსა და ტურიზმის, ამერიკის სავაჭრო პალატა)

ენერგეტიკული პოლიტიკა & სტრატეგია / ქვეყანა	თურქეთი	აზერბაიჯანი
ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული ინდიკატორები	<p>(2010წ) მოსახლეობა: 72,752,325 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 10,049 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 1,445 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე: 2,477 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 115</p>	<p>(2010წ) მოსახლეობა: 9,054,332 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 5,843 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 1,307 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე: 1,603 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 147</p>
დოკუმენტის დასახელება, წყარო და მოცულობა;	თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრატეგიული გეგმა (2010-2014) 44 გვერდი (ინგლისურად)	აზერბაიჯანის სახელმწიფო პროგრამა სათბობისა და ენერგეტიკული სექტორის განვითარებისათვის (2005-2015) 14 გვერდი (ინგლისურად)
ხედვის პერიოდი	2010-2014, 5 წლიანი	2005-2015, 10 წლიანი

რომელმა უწყებამ შეიმუშავა დოკუმენტი? (წელი)	ენერგეტიკისა და ბუნებრივი სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა http://www.enerji.gov.tr წელი: 2009 წელს	ენერგეტიკისა და ინდუსტრიის სამინისტრო http://mie.gov.az წელი: 2005 წელი
რომელმა ორგანომ მიიღო და დაამტკიცა?	ენერგეტიკისა და ბუნებრივი სამინისტრო	დამტკიცდა პრეზიდენტის 2005 წლის 14 თებერვლის ბრძანებით
ვინაა პასუხისმგებელი სტრატეგიის განხორციელებაზე?	ენერგეტიკისა და ბუნებრივი სამინისტრო	დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმას, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებლები არიან: ენერგეტიკისა და ინდუსტრიის სამინისტრო, სახელმწიფო ნავთობის კომპანია-SOCAR, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სამინისტრო, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აზერენერჯი, აზერიგაზი.
მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები?	მომზადდება სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშები -“ Administration Operation Report ”, რომელიც ყოველი წლის აპრილის ბოლოს გამოქვეყნდება.	უცნობია
რა რესურსი (დრო, სპეციალისტები) დასჭირდათ დოკუმენტის შესაქმნელად?	დრო: 2006 წ. 18 ოქტომბერს დაიწყო და სავარაუდოდ 2009 წლის ბოლომდე გაგრძელდა, ძირითადად 2 წელი. რესურსი: სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო მაღალი დონის ექსპერტებით და მთავრობის წარმომადგენლებით. ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მეორე ჯგუფი რომელიც შედარებით დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული.	უცნობია
ხედვა, მიზანი, ამოცანები	სამინისტროს სტრატეგიული გეგმა ითავლისწინებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა შორისაა: ენერჯის მიწოდების უსაფრთხოება, ქვეყნის ენერგეტიკული როლის ზრდა, როგორც რეგიონულ ისე	სახელმწიფო ენერგეტიკული პროგრამის მიზანია ელექტროენერჯითა და სხვა ენერგორესურსებით მოსახლეობისა და ეკონომიკის სრული დაკმაყოფილება სათბობისა და ენერგეტიკული სექტორის განვითარებით. მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით სექტორის პრიორიტეტების განსაზღვრა. ენერგეტიკული ინდუსტრიის ხელშეწყობა

	გლობალურ კონტექსტში, გარემოსდაცვა და ბუნებრივი რესურსების განვითარების ხელშეწყობა.	მეცნიერული და ინსტიტუციური განვითარებით.
გამოყენებული ანალიტიკური და დაგეგმვის ტექნოლოგიები	დაგეგმვის ტექნოლოგიები უცნობია. თუმცა ელექტროენერჯის მოთხოვნის პროგნოზისათვის სხვა კვლევებში MAED-ის მოდელი აქვთ გამოყენებული.	უცნობია
სტრატეგიის ინსტრუმენტები? (ფონდები, სტიმულირების მექანიზმები, საკანონმდებლო)	ყველა სამინისტროში არსებობს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც კოორდინირებულად მუშაობენ ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე.	ალტერნატიული და განახლებადი ენერჯორესურსების სახელმწიფო სააგენტო (AMBEDA), სტრატეგიული კვლევების ცენტრი (SAM)
მიწოდებისა(ენერჯის წყაროები) და მოხმარების რომელი სექტორები განიხილეს?	მიწოდების მხრივ მეტი ყურადღება ეთმობა ელ.ენერჯის წარმოებას. ზრდიან ნავთობისა და გაზის შიდა მოპოვებით სამუშაოებს. მოხმარების მხრივ ზოგადად ეფექტურობისა და ენერჯო ინტენსივობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას აპირებენ.	მიწოდების მხრივ ელ.ენერჯის, გაზისა და ნავთობპროდუქტების სექტორებია განხილული. მოხმარების მხრივ კონკრეტულად არაა განხილული რომელ სექტორს რა რაოდენობის ენერჯია დასჭირდება, თუმცა აღნიშნულია რომ რეზიდენტებისა და ეკონომიკის ყველა სექტორის უზრუნველყოფა სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია.
დოკუმენტის სტრუქტურა (სარჩევი)	<p>ნაწილი 1: სიტუაციის ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> - ისტორია - სამინისტროს დაარსების მიზანი - ვალდებულებები და პასუხისმგებლობა - ორგანიზაციული სტრუქტურა - SWOT ანალიზი <p>ნაწილი 2: სტრატეგიული გეგმა</p> <ul style="list-style-type: none"> - ხედვა, მისია -სამინისტროს ღირებულებები და პრინციპები - სტრატეგიული მიზნები და ამოცანები <ul style="list-style-type: none"> ▪ 1 სტრატეგიული თემა – ენერჯეტიკული უსაფრთხოება ▪ 1ამოცანა - რესურსების დივერსიფიკაციისას ადგილობრივი რესურსების პრიორიტეტულობა ▪ 2ამოცანა - ეგწ-ების წილის ზრდა ენერჯის მიწოდებაში ▪ 3ამოცანა - ენერჯოეფექტურობის ზრდა 	<ol style="list-style-type: none"> 1. შესავალი 2. სახელმწიფო პროგრამის მიზნები და ძირითადი პრინციპები 3. ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარების გეგმა 4. ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემის განვითარების გეგმა 5. სათბობისა და ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და განაწილება 6. სამოქმედო გეგმა 2005-2015

	<ul style="list-style-type: none"> ▪ 4ამოცანა - თავისუფალი საბაზრო პირობებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ▪ 5ამოცანა - იმპორტის რისკების შემცირება, ნავთობისა და გაზის მიწოდების დივერსიფიკაცია. ▪ II სტრატეგიული თემა - ენერგეტიკაში რეგიონული და გლობალური გავლენის ზრდა ▪ 6ამოცანა - რეგიონული თანამშრომლობის კონტექსტში ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება ენერგეტიკულ კვანძად გადაქცევისათვის ▪ III სტრატეგიული თემა - გარემო ▪ 7ამოცანა - გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სექტორში ▪ IV სტრატეგიული თემა - ბუნებრივი რესურსები ▪ 8ამოცანა - ბუნებრივი რესურსების წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში ▪ 9ამოცანა - ინდუსტრიული ნედლი მასალის წარმოების ზრდა ▪ V სტრატეგიული თემა – კორპორატიული ▪ 10ამოცანა - მართვის ეფექტურობის ზრდა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სექტორში ▪ 11ამოცანა - ენერგეტიკაში ინოვაციების ხელშეწყობა <p>ნაწილი 3: ხარჯები ნაწილი 4: სტრატეგიული გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება ნაწილი 5: სტრატეგიის დაგეგმვის პროცესი</p>	
--	---	--

<p>სხვა კომენტარები</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ ეს დოკუმენტის არის სამინისტროს სტრატეგიული გეგმა, ხოლო დამატებით უმაღლესი დაგეგმვის ჯგუფმა 2009 წელს შეიმუშავა ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტი (Electricity Energy Market And Supply Security Strategy Paper), რომელსაც 9 უმაღლესმა პირმა მოაწერა ხელი. ▪ სამინისტროს სტრატეგიაში გაწერილია სტრატეგიული თემა, მისი შესაბამისი მიზნები და ამ მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანები თავისი შეფასების ინდიკატორებით. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ 2006 წელს გაფორმდა მემორანდუმი ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის, რომლის მიზანია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, ეგწ-ებისა და ენერგოეფექტურობის განვითარება; ▪ 2004 წელს პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა ალტერნატიული და განახლებადი ენერგორესურსების სახელმწიფო სააგენტო (http://abemda.az), რომლის კოორდინაციითაც 2011 წლის დეკემბერში დაიწყო მუშაობა განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენების სტრატეგიაზე, 2012-2020 პერიოდისთვის. სტრატეგიის მიზანია 2020 წლამდე განახლებადების წილის 20%-მდე გაზრდა ელ.ენერჯის გენერაციაში, ხოლო 9.7% მთლიან ენერგომომხმარებაში, შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა ეგწ-ების ხელშეწყობისთვის. სტრატეგიაზე მუშაობისას მრავალი ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია იყო ჩართული (დაახლოებით 100 ადამიანი). ▪ ამ სტრატეგიის მიზანი გარდა ეგწ-ების ათვისებისა ენერგოეფექტური, უსაფრთხო და რენტაბელური სისტემის შექმნა არის, სადაც მაქსიმალურად იქნება ეკოლოგიურ და გარემოსდაცვითი პირობები გათვალისწინებული. ▪ იქმნება პოლიგონი კვლევა-დანერგვისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისათვის.
-------------------------	---	--

ენერგეტიკული პოლიტიკა & სტრატეგია / ქვეყანა	სომხეთი	უნგრეთი
ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული ინდიკატორები	(2010წ) მოსახლეობა: 3,092,072 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 3,031 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 791 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე:1,606 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 161	(2010წ) მოსახლეობა: 10,000,023 (2010წ) მიმდინარე მშპ(USD)/სულზე: 12,863 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/სულზე: 2,566 (2010წ) ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ)/სულზე:3,876 (2010წ) ენერჯის მოხმარება (კვ.ნ.ე)/მშპ(1000 USD, 2005PPP): 151
დოკუმენტის დასახელება, წყარო და მოცულობა;	სომხეთის ენერგეტიკული განვითარების სტრატეგიები ეკონომიკური განვითარების კონტექსტში 60 გვერდი (ინგლისურად)	უნგრეთის ენერგეტიკული სტრატეგია 131 გვერდიანი
ხედვის პერიოდი	გაურკვეველია (განსახორციელებელი პროექტებიდან ყველაზე გრძელვადიანად მიჩნეულია 2025 წლის პროექტები)	2012-2030, 20 წლიანი
რომელმა უწყებამ შეიმუშავა დოკუმენტი? (წელი)	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო http://www.minenergy.am 2005 წელი	ეროვნული განვითარების სამინისტრო წელი: 2012
რომელმა ორგანომ მიიღო და დამტკიცა?	სომხეთის მთავრობა #24 პროტოკოლის #1 რეზოლუცია	უნგრეთის პარლამენტმა დაამტკიცა 2011 წელს
ვინაა პასუხისმგებელი სტრატეგიის განხორციელებაზე?	მთავრობა	მთავრობა ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და უზრუნველყოს ყველა იმ პირობის არსებობა, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიის განხორციელებისათვის.
მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები?	უცნობია	კონკრეტულად ვერ ვნახე რო ეწეროს..თუმცა გაწერილია გეგმა და სახელმწიფო ვალდებულია აკონტროლოს და შეაფასოს მდგომარეობა გაწერილ მიზნებთან შესაბამისობაში. სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს იურიდიული და ეკონომიური პირობების

		ურითიერთშეთანხმებულობა ენერგოპოლიტიკის ჩარჩოში ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით.
